

სპორტის განვითარების ხელშეწყობის
ღონისძიებები

"კალათბურთის სახელმწიფო
მხარდაჭერის პროგრამა"

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

თ ბ ი ლ ი ს ი

2017 წ.

1. პროგრამის აღწერა და მიზანი

- ა) საქართველოში კალათბურთის შემდგომი განვითარება;
- ბ) ქვეყნის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების ხარისხიანი მომზადება და მათი წარმატებული მონაწილეობა საერთაშორისო საკალათბურთო შეჯიბრებებში;
- გ) “სუპერლიგის”, საქართველოს თასის, ქალთა და ასაკობრივი ჩემპიონატების და სხვა შეჯიბრებების მაღალ დონეზე ორგანიზება;
- დ) საკალათბურთო სფეროში მომუშავე სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება;
- ე) ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის განვითარება;
- ვ) კალათბურთის შემდგომი პოპულარიზაცია.

- საქართველოში კალათბურთის პოპულარობის ამაღლება;
- ეროვნული ნაკრების წარმატებით გამოსვლა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე;
- ასაკობრივი ნაკრები გუნდების ხარისხიანი მომზადება და მათი მონაწილეობა ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატებში, ეროვნული ნაკრებისათვის ღირსეული რეზერვის მზადების მიზნით;
- “სუპერლიგის” (ეროვნული ჩემპიონატი) დონის ამაღლება;
- ქალთა და ასაკობრივი ჩემპიონატების დონის ამაღლება;
- ბავშვთა კალათბურთში საწვრთნელი და სათამაშო (ოფიციალური მატჩები) პროცესების პირობების გაუმჯობესება, ფედერაციის მხრიდან მომსახურეობის ხარისხის ამაღლება;
- პერსპექტიული ბავშვებისათვის სათანადო კემპების ორგანიზება, მათ შორის საუკეთესოების ევროპის წამყვან კლუბებში მივლინება და ამ მიზნით ევროპის წამყვან საკალათბურთო კლუბებთან თანამშრომლობა;
- მწვრთნელებისა და მსაჯების გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ევროპის წამყვან საკალათბურთო ქვეყნებსა და კლუბებში მივლინება;
- საზოგადოების მაღალი ინფორმირებულობა ქართულ კალათბურთში მიმდინარე პროცესებზე;
- კალათბურთის, როგორც წარმატებული პროდუქტის შექმნა, რომელიც მიმზიდველი იქნება ბიზნესისათვის, ინვესტიციების (სპონსორობის) განსახორციელებლად.
- სხვადასხვა სახის საერთაშორისო სემინარებში, კონგრესებში, გადასამზადებელ კურსებში მონაწილეობა.
- საკალათბურთო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის შექმნის, განბაჟებისა და მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები.
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა
- კალათბურთის პოპულარიზაციის მიზნით ფედერაციის ვებ-გვერდებისა და პირდაპირი ტრანსლაციების ტექნიკური აღჭურვა და მომსახურეობის უზრუნველყოფა.

- საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საქმიანობის ხელშეწყობა, ამ მხრივ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და გამოცემა.
- ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფინანსური დახმარება (უმაღლესი ლიგა, პირველი ლიგა) ფედერაციის წარდგინების შესაბამისად.

საქართველოში კალათბურთის განვითარება

- ფედერაციის საქმიანობის კოორდინატორებისა და სხვა პერსონალის ანაზღაურება;
- ფედერაციის მიზნებისა და საქმიანობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ხარჯების ანაზღაურება;
- ვეტერან კალათბურთელების მონაწილეობა სხვადასხვა შეჯიბრებებზე;
- გამოჩენილი კალათბურთელების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირების და სხვა შეჯიბრებების გამართვა;
- რეგიონების მასშტაბით ფესტივალების გამართვა;
- „ოლ სტარის“, ქალთა ჩემპიონატისა, აგრეთვე მინი, ქუჩის კალათბურთში და ტურნირები 3X3-ზე შეჯიბრებების გამართვა;
- საკალათბურთო ინვენტარით და ეკიპირებით უზრუნველყოფა;
- კალათბურთი პოპულარიზაციის მიზნით ვებ-გვერდების მომსახურების უზრუნველყოფა;
- საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ ქვეყანაში კალათბურთისა და კალათბურთელების ხელშეწყობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების მომსახურება;
- პერსპექტიული ბავშვებისათვის სათანადო კემპების ორგანიზება, მათ შორის საუკეთესოების ევროპის წამყვან საკალათბურთო კლუბებში მივლინება და ამ მიზნით ევროპის წამყვან საკალათბურთო კლუბებთან თანამშრომლობა;
- მწვრთნელებისა და მსაჯების გადამზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ევროპის წამყვან საკალათბურთო ქვეყნებსა და კლუბებში მივლინება;
- საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საქმიანობის ხელშეწყობა, ამ მხრივ შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

2. პროგრამის შესრულების ვადები

შესრულების ვადები: დაწყება-01.01.2017. დასრულება-31.12.2017.

3. პროგრამის 2017 წლის ბიუჯეტი

პროგრამა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მთლიანი ასიგნების თანხა შეადგენს – 7 000 000 ლარს;

ფედერაციის დაგეგმილი ღონისძიებები.

ა) საქართველოს ეროვნული ნაკრები:

- ეროვნული ნაკრების გამოსვლა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე; ევროპის 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა;
- ნაკრების მოთამაშეთა დაზღვევა;
- ეროვნული ნაკრების ეკიპირება;

- ლეგიონერთა და უცხოელ მწვრთნელთა მგზავრობით უზრუნველყოფა;
- ეროვნული ნაკრების საწვრთნელი შეკრებები;
- ეროვნული ნაკრების საერთაშორისო ტურნირები;
- ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა;
- ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მისი ასისტენტების, ფიზ. მომზადების მწვრთნელების, ექიმების, მენეჯერების, ნაკრებების წევრების და სხვა პერსონალის საკონტრაქტო ანაზღაურება;
- სამედიცინო მომსახურეობა და საჭირო მედიკამენტების ხარჯების გაწევა;
- წლის განმავლობაში პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საჭირო ხარჯების გაწევა.
- ფედერაციის მიერ ბავშვთა კალათბურთის განვითარებისა და ასაკობრივი ნაკრებების სპორტული დონის ამაღლების მიზნით, მათთან გაფორმებული საკონტრაქტო პირობებით გათვალისწინებული ანაზღაურების გაცემა.
- ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფინანსური დახმარება (უმაღლესი ლიგა, პირველი ლიგა) ფედერაციის წარდგინების შესაბამისად.
- გასულ წელს ფედერაციის, სუპერლიგის, ეროვნული და ასაკობრივი ნაკრები გუნდების მზადებასა და ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის დარჩენილი დავალიანების დაფარვის უზრუნველყოფა.

ბ) საქართველოს ახალგაზრდული (20 წლამდე), ჭაბუკთა (18 წლამდე) და კადეტთა (16 წლამდე) ნაკრები გუნდები

20-წლამდეელთა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატი (ბ დივიზიონი),

18-წლამდეელთა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატი (ბ დივიზიონი),

16-წლამდეელთა ევროპის 2017 წლის ჩემპიონატი (ბ დივიზიონი)

- ეკვიპირება;
- საწვრთნელი შეკრებები;
- საერთაშორისო ტურნირები და ამხანაგური მატჩები;
- ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპზე მონაწილეობა;
- ასაკობრივი ნაკრებების მთავარი მწვრთნელების და ასისტენტების, მენეჯერების, ექიმების, მასაჟისტების და სხვა პერსონალის ანაზღაურება;
- მგზავრობის, სამედიცინო მომსახურეობისა და სხვა ხარჯების ანაზღაურება.

გ) “სუპერლიგა”

- სპორტის სასახლის და სხვა დარბაზების იჯარა;
- “სუპერლიგის” მატჩების მსაჯების, კომისრების, მსაჯი-მდივნების და სხვა პერსონალის ანაზღაურება;
- “სუპერლიგის მატჩების პირდაპირი სატელევიზიო გადაცემების ხარჯების დაფარვა.

დ) საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატები

20-წლამდელები

18-წლამდელები

16-წლამდელები

14-წლამდელები

13-წლამდელები

მინი-კალათბურთის ფესტივალი

12-წლამდელები

11-წლამდელები

საქართველოს ჩემპიონატი გოგონებს შორის, მინი კალათბურთი

- “ასაკობრივი ჩემპიონატების” მატჩების მსაჯების, კომისრების, მსაჯი-მდივნების და სხვა პერსონალის ანაზღაურება;
- საკალათბურთო დარბაზების იჯარა “ასაკობრივი ჩემპიონატების” მატჩებისათვის.

4. პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შესრულების ინდიკატორები

შედეგები:

- ეროვნული ნაკრების წარმატებით გამოსვლა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე;
- ასაკობრივი ნაკრები გუნდების წარმატებით ასპარეზობა საერთაშორისო სარბიელზე, ეროვნული ნაკრებისათვის ღირსეული რეზერვის მზადების კუთხით;
- “სუპერლიგის” (საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში) დონის ამაღლება;
- “ასაკობრივი ჩემპიონატების” დონის ამაღლება;
- საწვრთნელი და სათამაშო პროცესების ხარისხის და პირობების გაუმჯობესება;
- მოთამაშეთა, მწრთვანთა, მსაჯთა და ვეტერან კალათბურთელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- კალათბურთის პოპულარიზაცია და კალათბურთისადმი ყოველმხრივი (მრავალმხრივი) ინტერესის ამაღლება.

ინდიკატორები:

- საერთაშორისო საკალათბურთო ასპარეზობებზე (მათ შორის 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე) მოპოვებული შედეგები;
- პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების და ბენეფიციარების ჩართულობის მაჩვენებელი;